
მათემატიკა	ბუნებისმეტყველება	ტექნოლოგები	ინჟინერია	ხელოვნება	სპორტი	ლიტერატურა
X		X		X		X

მიმართულება: რიცხვები სასწავლო თემა:	სამიზნე ცნება: რიცხვები და თანრიგები	მაკრო ცნება: გამოთვლითი აზროვნება	კლასი: მე-2 დრო: 2 კვირა
<p><b>რიცხვები 1დან 100-მდე</b> ქვესაკითხები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>ათეულები</li> <li>ათეულების შეკრება</li> <li>ათეულების გამოკლება</li> <li>უახლოესი ათეულები და ოცეულები</li> <li>რიცხვები 21 დან-30მდე</li> <li>რიცხვები 30 დან -100მდე</li> <li>რიცხვების შედარება</li> <li>უახლოესი ათეულები, ოცეულები და ხუთეულები</li> <li>რაოდენობის შეფასება</li> </ol>		<p>საკვანძო კითხვები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>შეიძლება თუ არ წითელქუდას დასჭირდეს რიცხვების ცოდნა ბოქლომის გახსნასა და პრობლემის გადაჭრაში?</li> <li>რაში შეიძლება დაგვჭირდეს 1-დან 100-მდე რიცხვების ცოდნა?</li> </ul>	
<p><b>პრობლემა:</b> როგორ უნდა იპოვოს წითელქუდა ბოქლომის კოდი, რათა მან მგლის მიერ ჩაკეტილი ბეზი გაათავისუფლოს.</p>			
<p><b>მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან:</b> მათ.დაწყ.(II).1; 2;3,13 <b>21- ე საუკუნის მისაღწევი შედეგი:</b> პრობლემის გადაჭრა; გუნდური მუშაობა;</p>			



დავალების პირობა:

**დავებმართ წითელქუდას**



ყველამ კარგად იცით ზღაპარი „წითელქუდა“.

მოდი ჩვენც მოვიფიქროთ მსგავსი:

მგელმა წითელქუდას ბებია გამოკეტა სახლში და ბოქლომი დაადო, რომლის გახსნასაც რიცხვების გამოცნობა სჭირდება.

ბებიასკენ მიმავალ წითელქუდას გზად ფერია შეხვდა, რომელსაც წითელქუდამ დამხარება სთხოვა. ფერიას შეუძლია მხოლოდ მინიშნებები მისცეს წითელქუდას, რათა მან ბოქლომის გასაღებად საჭირო რიცხვების გამოცნობა შეძლოს. დავებმარე წითელქუდას.

**პირველი მინიშნება: „ჯადოსნური კვადრატი“** - შეავსეთ კვადრატი, ისე რომ ყველა სვეტის, სტრიქონის და დიაგონალის ჯამი იყოს 18-ის ტოლი. უნდა დაიმახსოვრო შუა უჯრაში ჩაწერილი რიცხვი.

7		3
		5

**მეორე მინიშნება:** ყველა დავალება შეასრულე, იპოვე მიღებული რიცხვებიდან უმცირესი და დაიმახსოვრე.

1). თორნიკე 36კგ-ს იწონის, გიორგი მასზე 9კგ-ით მსუბუქია. ლაშა კი გიორგიზე 10კგ-ით მძიმეა. რამდენი ათეულია მათი საერთო მასა?



2). დაწერე ყველა რიცხვი 50-დან 25-მდე, ამ რიცხვების ჩათვლით. შემდეგ გადახაზეთ ზოგი რიცხვი ისე, რომ დარჩენილთაგან ყოველი რიცხვი იყოს 5-ით ნაკლები მის წინაზე. სულ რამდენი რიცხვი დარჩა გადასახაზი?

3). თუ ერთნიშნა რიცხვს, მარცხნიდან მივუწერთ ციფრს 5. რამდენით გაიზრდება თავდაპირველი რიცხვი?


4). რომელი უფრო მეტია და რამდენით, 60-დან 80-ის ჩათვლით კენტი თუ ლუწი რიცხვების რაოდენობა?

5). თუ, 83-ის უახლოეს ხუთეულს გამოაკლებ 35-ის უახლოეს ათეულს და 32-ის უახლოეს ოცეულს, მიიღებ?

6). დაწერე ყველა ის ორნიშნა რიცხვი, რომლის ციფრთა ჯამი არის 17. იპოვე მათ შორის სხვაობა.

მესამე

მინიშნება:



იპოვეთ, მოცემულსქემაზე რიცხვები, ასევე უდიდესრიცხვსა და უმცირეს რიცხვს შორის სხვაობა. რამდენი ათეულია მიღებულ რიცხვში? **დაიმახსოვრე ეს რიცხვი.**



ამ დავალებების შესრულების შემდეგ, დაწერე პატარა მოთხრობა და წარმოადგინე, თუ როგორ დაეხმარე წითელქუდას. მოთხრობის დაწერისას შეგიძლია დაიხმარო ნახატი. დავალება წარმოადგინე დიდი ფორმატის ფურცელზე.

უპასუხე კითხვებს:

- იმსჯელე, როგორ შეავსე „ჯადოსნური კვადრატი და რა იყო ამოსაცნობი ციფრი?



	<ul style="list-style-type: none"> <li>• რომელი მათემატიკური ოპერაციების შესრულება დაგჭირდა?</li> <li>• იმსჯელე, როგორ მოძებნე რიცხვების უახლოესი ხუთეული, ათეული, ოცეული.</li> <li>• იმსჯელე, მესამე მინიშნებაში შესასრულებელი დავალების შესრულების სტრატეგიაზე.</li> <li>• საბოლოოდ, რომელი ციფრებისგან შედგებოდა ბოქლომის კოდი?</li> </ul> <p><b>პრეზენტაციაში ხაზგასმით წარმოადგინე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• როგორ შეიძლება შეცვალოს რიცხვის მნიშვნელობა თუ ციფრებს ადგილს შევუცვლით და რას უნდა მიექცეს ყურადღება შედარებისა და ანგარიშის დროს?(მ.წ.3.4.)</li> <li>• რა ოპერაციებია საჭირო გამოანგარიშებისათვის და რაოდენობის დასადგენად და როგორ გვეხმარება სტრატეგიის შერჩევა რომ გამოთვლები ვაწარმოთ იმის მიხედვით, თუ როგორ არის საჭირო ზუსტი თუ მიახლოებითი გამოთვლა? (მ.წ.5)</li> <li>• გამოთვლების შესრულებისას საჭიროა თუ არა მოქმედებების თანმიმდევრობის დაცვა, რატომ? (მ.წ.5)</li> <li>• საჭიროა, თუ არა რიცხვში ციფრების ადგილმდებარეობის მნიშვნელობის ცოდნა? (მ.წ.6)</li> <li>• რა გაგიჭირდა დავალების შესრულების დროს?</li> </ul>
<p>რეკომენდაციები მოსწავლეს</p>	<p>დავალების შესრულებაში დაგეხმარება შემდეგი ვიდეო გაკვეთილები:</p> <p><a href="#">გაკვეთილი 1</a></p> <p><a href="#">გაკვეთილი 2</a></p>



შეფასება

<p>მეთოდები/ სტრატეგიები ცოდნის შესაფასებლად</p>	<p>პროცესში შეფასება შეიძლება მოხდეს SOLO ტაქსონომიის მიხედვით, რაც გულისხმობს Structure of learning outcomes; ასევე მასწავლებელს შეუძლია შეიმუშავოს შეფასების რუბრიკა;</p> <p>შეფასების სახეები/ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება</p> <p>შეფასების ინსტრუმენტები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქვიზი</li> <li>• სადიაგნოსტიკო ტესტი</li> <li>• დიაგრამით, ცხრილით ნასწავლის დემონსტრირება</li> <li>• რამდენიმე სიტყვით შეაჯამე რა იყო ძირითადი იდეა</li> <li>• 1 წუთიანი შეჯამება - სიტყვიერი ან წერილობითი</li> <li>• დისკუსია, განხილვა წყვილებში</li> <li>• მოსწავლის თვითშეფასება</li> <li>• მოსწავლეების მიერ ერთმანეთის შეფასება</li> <li>• სასწავლო თემის შემაჯამებელი ტესტი</li> <li>• ...</li> </ul>
<p>მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან:</p>	<p><b>მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან:</b></p> <p><b>მათ.დაწყ.(I).1</b> მოსწავლე უნდა ფლობდეს და იყენებდეს რიცხვის ცნებას და რიცხვის წარმოდგენის საშუალებებს; მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვების შედარება და კლასიფიცირება.</p> <p><b>მათ.დაწყ.(I).2</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ძირითადი არითმეტიკული ოპერაციების შესრულება რიცხვებზე.</p> <p><b>მათ.დაწყ.(I).3</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ნატურალურ რიცხვებზე მოქმედების შედეგის მიახლოებით შეფასება და რიცხვების დამრგვალება.</p> <p><b>მათ.დაწყ.(I).13</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ყოველდღიური ცხოვრებიდან ან ბუნებისმეტყველების დარგებიდან მომდინარე მარტივი ამოცანების ამოხსნა.</p> <p><b>21- ე საუკუნის მისაღწევი შედეგი</b> პრობლემის გადაჭრა; კრიტიკული აზროვნება</p>



შეფასება

მოსწავლეს შეუძლია:

- რომ საგანთა ყველა კონკრეტულ რაოდენობას შეუსაბამოს კონკრეტული რიცხვი;
- დააკავშიროს რიცხვები შესაბამის სახელებსა და აღნიშვნებთან;
- რიცხვების შედარება და ანალიზი.
- რიცხვების გამოსახვა სხვადასხვა სახით, მათ შორის ციფრებით.
- ათობით პოზიციურ სისტემაში რიცხვების ჩაწერა. იცის, რომ გამოიყენება ათი ციფრი და ყველა ციფრს რიცხვის ჩაწერის პოზიციურ სისტემაში ეცვლება მნიშვნელობა მისი ადგილის ცვლილების მიხედვით.